

თბილისი

09 ოქტომბერი 2024 წ

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დასკვნა

შპს საფეხბურთო კლუბი ირაო-ს ხელმძღვანელობას
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

შესავალი

ჩვენს შორის 2024 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე ჩავატარეთ შპს საფეხბურთო კლუბი თბილისი 2022-ის 2024 წლის 31 აგვისტოს ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული პერიოდის შესაბამისი მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგები მიმოხილვა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - “სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა” - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებულ აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას;

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად.

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“
რეგისტრაციის #SARAS-F-564427
გარიგების პარტნიორი,
რეგისტრირებული აუდიტორი
რეგისტრაციის #SARAS-A-117835
ოთარ ახოზაძე



თბილისი 09 ოქტომბერი 2024 წ.